



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*08*“ „*12*“ 2015 წელი

ეგზ. N1

ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს,
სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012 წლის 1
იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *ა/68/00*

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	3
შესაბამისობის აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის მასშტაბი.....	3
აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა	4
დაფინანსების წყარო.....	4
შრომის ანაზღაურება.....	5
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	6
ტრანსპორტი და საწვავი	6
არაფინანსური აქტივები	9
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	11

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის (შემდეგში გუბერნატორის ადმინისტრაცია) 2012, 2013 და 2014 წლების შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია:

- ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობასთან
- არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები კანონმდებლობასთან
- . შესყიდვების პროცედურები კანონმდებლობასთან
- . სახელშეკრულებო პირობების დაცვის უზრუნველყოფის საკითხები

აუდიტის მასშტაბი

რისკების შეფასების საფუძველზე აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა: შრომის ანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინება ქვეყნის გარეთ, საწვავის ხარჯები, არაფინანსური აქტივების მოძრაობა.

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

გუბერნატორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ

არამართლზომიერი ქმედებით(თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012, 2013 და 2014 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით- „ანგარიში ვრცელი ფორმით“, რაც გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

დაფინანსების წყარო

გუბერნატორის ადმინისტრაციის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად გამოყოფილი სახსრები.

შრომის ანაზღაურება

2012 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1109.3 ათასი ლარი, მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 706.1 ათასი

ლარი (63.6%). 2013 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 796.1 ათასი ლარი, მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 565.5 ათასი ლარი (71.0%). 2014 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 776.0 ათასი ლარი. მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 567.0 ათასი ლარი (73.1%). აღსანიშნავია, რომ გუბერნატორის განკარგულების საფუძველზე ადმინისტრაციის თანამშრომლებზე გაიცემოდა დანამატები, რომელიც 2012 - 2013 წლებში ნაცვლად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის დადგენილი დანამატების მუხლისა აისახებოდა თანამდებობრივი სარგოს მუხლში¹.

2012- 2014 წლებში გუბერნატორის ადმინისტრაციაში პრემიის სახით სულ გაცემულია 301.3 ათასი ლარი. მათ შორის 2012 წელს 149.4 ათასი ლარი (49.6%), 2013 წელს 37,5 ათასი ლარი(12,4%), 2014 წელს 114.4 ათასი ლარი (38%).

ინფორმაცია 2012-2014 წლებში გაცემული პრემიებისა და დანამატების შესახებ მოცემულია ცხრილის სახით.

წელი	პრემია	მ.შ ხელმძღვანელობა	%
2012	149.4	104.1	69.7
2013	37.5	20.7	55
2014	114.4	38.3	33.5
სულ	301.3	163,1	54.1

წელი	დანამატი	მ.შ ხელმძღვანელობა	%
2012	31.3	27.8	88.8
2013	36.6	16.2	44.3
2014	26.5		
სულ	94.4		

წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან აპარატის მიერ გაწეულმა საკასო და ფაქტიურმა ხარჯებმა 2012- 2014 წლებში შეადგინა 43.3 ათასი ლარი მათ შორის, 2012 წელს 26.3 ათასი, 2013 წელს 8.1 ათასი, 2014 წელს 8.9 ათასი ლარი.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე

აუდიტის პერიოდში ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტებით ხშირ შემთხვევებში ვერ დგინდება მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა და ვინაობა, რაც მოგვცემდა რწმუნებას ხარჯების მიზნობრივად და რაციონალურად გაწევის შესახებ. მაგალითად 2012 წელს შპს „ტყუპების ძველ მარანთან“ გაფორმებული N75 ხელშეკრულებების საფუძველზე მიმწოდებელს გაწეული სარესტორნო მომსახურებისათვის აუნაზღაურდა 4.2 ათასი ლარი, რომელთან დაკავშირებით ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 2013 წელს შპს „ბენებრივ აირთან“ გაფორმებული N67 ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურებულ 0.7 ათას ლართან დაკავშირებით წარმოდგენილია მხოლოდ საგადასახადო ანგარიშფაქტურა. 2014 წლის მაისის თვიდან მიღება-ჩაბარების აქტებთან და სასაქონლო ზედნადებებთან ერთად ძირითად შემთხვევებში წარმოდგენილია გუბერნატორის პირველი მოადგილის სახელზე შედგენილი მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც მითითებულია ღონისძიებებში მონაწილე ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებისთვის ხდებოდა ადმინისტრაციის მიერ ხარჯების გაწევა. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მიზანშეწონილია მოხსენებითი ბარათები შედგენილი იქნას მომსახურების მიღებამდე და არა მომსახურების მიღების შემდგომ პერიოდში.

2012 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ მივლინებებზე ადმინისტრაციის მიერ გაწეულია 9.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი, 2013 წლის განმავლობაში 6.6 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს ამავე მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1.8 ათასი ლარი. 2012 წელს გუბერნატორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებისას ვერ იქნა წარმოდგენილი მოწვევა, ხოლო 2013-2014 წლებში მივლინებაში მყოფი პირების (გუბერნატორები) მიერ ცალკეულ შემთხვევებში არ ხდებოდა მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ჩასხდომი ბარათები) წარმოდგენა. მგზავრობის შესახებ რწმუნება აუდიტის ჯგუფის მიერ მიღებული იქნა მივლინებაში მყოფი პირების მიერ წარმოდგენილი საპასპორტო მონაცემებით.

ტრანსპორტი და საწვავი

2012 წელს საწვავის გაცემა წარმოებდა ტალონების საშუალებით სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ყოველთვიური განკარგულებების საფუძველზე. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი, ვისზედაც მიმაგრებული იყო სატრანსპორტო საშუალება, გამოყოფილ საწვავის ლიმიტს, როგორც წესი სრულად და ბოლომდე ითვისებდა და შესაბამისად, არ ფიქსირდება გაუხარჯავი ტალონების დაბრუნების არცერთი ფაქტი. საწვავის ხარჯებში ჩამოწერა 2012 წელს ხორციელდებოდა განკარგულების ფარგლებში გაცემული საწვავის ტალონების მიხედვით, ხოლო 2013 წლიდან საწვავის ელექტრონულ ბარათებში დაფიქსირებული ფაქტიური ხარჯის მიხედვით.

ცხრილში მოცემულია სატრანსპორტო საშუალებებისათვის წლების მიხედვით შეძენილი და ჩამოწერილი საწვავის შესახებ ინფორმაცია ათას ლარებში:

წელი	საწყ. ნაშთ.	შეძენილი	გახარჯული	გახარჯულის %	ნაშთი წლის ბოლოს
2012	20,2	147,3	142,6	47	24,9
2013	24,9	71,9	96,2	31,8	0,5
2014	0,5	63,6	64,2	21,2	0
სულ		282,8	303,1	100	

სააუდიტო პერიოდში სულ გახარჯულია 303,1 ათასი ლარის საწვავი, მათ შორის: 2012 წელს 142,6 ათასი ლარის, ანუ მთლიანად გახარჯული საწვავის 47%, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მაღალი ლიმიტების დაწესებით. 2013 წელს გახარჯულია 96,2 ათასი ლარის საწვავი, ხოლო 2014 წელს-64,2 ათასი ლარის.

2012 წლის 8 თვის განმავლობაში გუბერნატორზე მიმდგრებულ ავტომანქანაზე გაცემულია 11.1 ათასი ლიტრის ოდენობი საწვავის ტალონები. ივლისის თვეში საწვავის ხარჯმა შეადგინა 1750, ხოლო აგვისტოში 1600 ლიტრი. გუბერნატორზე მიმდგრებული ავტომანქანა - „Toyota prado“-ს (სახ. სანომრე ნიშნებით - ZDO 007) საწვავის ხარჯის ანალიზით (მაქსიმალური წვის რეჟიმი 100კმ-ზე / 17.64 ლ) გაირკვა, რომ ივლისში ავტომანქანის ყოველდღიური გარბენი საშუალოდ შეადგენდა 320 კმ, ხოლო აგვისტოში 292 კმ.

2012 წლის ნოემბრიდან გუბერნატორზე განპიროვნებული იქნა 2 ავტომანქანა, ნოემბრის თვეში „Toyota prado“-ს მიერ გახარჯულია 1000 ლიტრი საწვავი, ხოლო „volkswagen Passat“-ის მიერ 600 ლიტრი, დეკემბრის თვეში კი 1000 და 700 ლიტრი. ავტომანქანების მაქსიმალური წვის რეჟიმზე გაანგარიშებით(100კმ-ზე /17.64ლ და 13ლ) ნოემბერში ავტომანქანების საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 343 კმ. კერძოდ, „Toyota prado“-ს გარბენი შეადგინა 189 კმ-ს, ხოლო „volkswagen Passat“-ის 154კმ -ს. დეკემბრის თვეში ორივე ავტომანქანის საშუალო დღიური გარბენი ჯამში შეადგენდა 356 კმ-ს („Toyota prado“-ს 183 კმ „volkswagen Passat“-ის 173 კმ).

2013 წლის განმავლობაში გუბერნატორზე განპიროვნებულ ავტომანქანაზე გახარჯულია 10.1 ათასი ლიტრი ბენზინი.

საწვავის ელექტრონული ბარათების მონაცემების თანახმად ივლისის თვეში ორ ავტომანქანაზე გაწეულია 1200 ლიტრი საწვავის ხარჯი („Toyota prado“ –800 ლიტ. „volkswagen Passat“- 400 ლიტ) ავტომანქანების მაქსიმალური წვის რეჟიმზე გაანგარიშებით(100კმ-ზე /17.64ლ და 13ლ) საშუალო დღიურმა გარბენმა ჯამში შეადგინა 245 კმ. კერძოდ „Toyota prado“-ს მიერ განვლილმა მანძილმა 146კმ, ხოლო „volkswagen Passat“-ის 99 კმ. ოქტომბრის თვეში გახარჯული საწვავის ოდენობამ შეადგინა 1 111 ლიტრი(„Toyota prado“ –711 ლიტ. „volkswagen Passat“- 400 ლიტ), ამ შემთხვევაში საშუალო დღიური გარბენი ორივე ავტომანქანაზე შეადგენს 229 კმ-ს, მათ შორის „Toyota prado“-ს გარბენი 130კმ -ს, ხოლო „volkswagen Passat“-ის 99კმ-ს.

2014 წელს გუბერნატორზე მიმავრებული ავტომანქანის მიერ გახარჯული საწვავის ოდენობამ შეადგინა 11.6 ათასი ლიტრი. საწვავის ფაქტიური ხარჯის შესახებ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად გუბერნატორზე მიმავრებული ავტომანქანის მიერ მარტის თვეში გახარჯულია 1146 ლიტრის საწვავი. კერძოდ, ავტომანქანა „Toyota prado“ – ს მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობამ შეადგინა 791 ლიტრი, ხოლო „volkswagen Passat“-ის 355 ლიტრი. მაქსიმალური წვის რეჟიმზე დაანგარიშებით(100კმ-ზე/17.64ლ და 13ლ) ავტომანქანების საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 232 კმ. მათ შორის „Toyota prado“ - 144 კმ, ხოლო „volkswagen Passat“- 88 კმ. ოქტომბრის თვეში ამავე ავტომანქანების მიერ გახარჯული საწვავის ოდენობამ შეადგინა 1205 ლიტრი („Toyota prado“ –ს 799 ლიტ. „volkswagen Passat“-ი 406 ლიტ.) საშუალო დღიურმა გარბენმა ორივე ავტომანქანის შენთხვევაში ჯამში შეადგინა 246 კმ. მათ შორის, „Toyota prado“ -ს გარბენმა 146 კმ, ხოლო „volkswagen Passat“-ი 100 კმ. გუბერნატორის და აპარატის უფროსის მოადგილის სიტყვიერი განმარტებით გუბერნატორზე მინდობილი ავტომობილები საჭიროების შემთხვევებში გამოიყენებოდა ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად.

2012 წელს გუბერნატორის პირველ მოადგილეზე მიმავრებულ ავტომანქანა TOYOTA LandCruizer-ზე(სახ. სანომრე ნიშნებით - SLB 077) სექტემბერში ჩამოწერილია 1500 ლიტრი საწვავი, (მაქსიმალური წვის რეჟიმი 100კმ-ზე / 17.64 ლ) დღის განმავლობაში საშუალო განვლილმა მანძილმა ამ შემთხვევაში შეადგინა 283 კმ - ი, ოქტომბრის თვეში კი 219 კმ-ი (ჩამოწერილი საწვავის ოდენობამ 1200 ლიტრი).

გუბერნატორის მოადგილეზე მიმავრებულ ავტომანქანა „volkswagen Passat“ -ის (სახ. სანომრე ნიშნებით - KAX 003) მიერ აგვისტოს თვეში გახარჯულმა (ჩამოწერილი) საწვავის ოდენობამ შეადგინა 1200 ლიტრი, შესაბამის წვის კოეფიციენტზე დაანგარიშებით (მაქსიმალური წვის რეჟიმი 100კმ-ზე/13ლ) ზემოაღნიშნულ პერიოდში დღიური გარბენი შეადგენდა 297კმ - ს.

2014 წელს გუბერნატორის ადმინისტრაციის შტატგარეშე მომსახურეზე(მძღოლი) მიმავრებული მორიგე ავტომანქანის „hyundai terracan“ –ის მიერ ცხრა თვის განმავლობაში გაწეულმა საწვავის ხარჯმა შეადგინა 6300 ლიტრი. მაქსიმალური წვის რეჟიმზე დაანგარიშებით(100კმ-ზე/15 ლ) ავტომანქანის საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 155 კმ.

2013 წელს ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს როდესაც გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლები შვებულებაში ყოფნის დროს სარგებლობდნენ მათზე მიმავრებული ავტომობილებით და შესაბამისად ხდებოდა საწვავის ხარჯის გაწევა. კერძოდ: გუბერნატორის მოადგილე 2013 წლის 21 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე იმყოფებოდა შვებულებაში. საწვავის ჩასხმის ელექტრონული ბარათის მიხედვით ამ პერიოდში მას ჩასხმული აქვს 700 ლიტრი საწვავი, სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსს 2013 წლის 7 მაისიდან 13 მაისამდე და 10 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე შვებულებაში ყოფნის პერიოდში ჩასხმული აქვს 323 ლიტრი საწვავი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, რომლის

თანახმად, მოსამსახურე მოვალეა შევსებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლებამდე სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს ამისთვის დანიშნულ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს საქმისწარმოება და ქონება, რაც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არ განხორციელებულა.

ავტომანქანების სარემონტო სამუშაოების მიზნით აპარატის ასიგნებებიდან 2012 - 2014 წლებში გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 53.9 ათასი ლარი, მათ შორის 2012 წელს - 20.7 ათასი; 2013 წელს - 14.8 ათასი; ხოლო 2014 წელს 18.4 ათასი ლარი.

ადმინისტრაციაში სარემონტო სამუშაოების განხორციელებამდე არ ხდებოდა წინასწარი ხარჯთაღრიცხვების (დეფექტური აქტები) შედგენა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში მიმწოდებლებზე თანხები ანაზღაურებული იყო მხოლოდ საგადასახადო ანგარიშგაქტურებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე რომლებშიც არ არის მითითებული შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი. ასე მაგალითად შპს „იბერია ავტოჰაუს“ ავტომანქანა „ვოლკსვაგენ პასატის“ ტექნიკური მომსახურების მიზნით 2012 წლის 6 დეკემბერს აუნაზღაურდა 3.2 ათასი ლარი, მათ შორის 2.2 ათასი ლარის ღირებულების მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა მხოლოდ საგადასახადო ანგარიშგაქტურა, რომლითაც ვერ ხდება განხორციელებული სამუშაოების იდენტიფიცირება. 2013-2014 წლებში შპს „იკასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, გაწეული მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტებად წარმოდგენილი იქნა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც მითითებულია მომსახურების ზოგადი დასახელება(ავტო ტექ. მომსახურება) შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალის გარეშე. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ივნისის თვიდან ზემოაღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად ძირითად შემთხვევებში წარმოდგენილია დეფექტური აქტები შესასრულებელი სამუშაოების მითითებით და აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათები, რომლებიც მიზანშეწონილია შედგენილი იქნას არა მიღებული მომსახურების შემდეგ, არამედ უშუალოდ სარემონტო სამუშაოების განხორციელებამდე.

არაფინანსური აქტივები

სააუდიტო პერიოდში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვისათვის არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები თითოეული საინვენტარო ნომრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით. ასევე, ასეთ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ გაფორმებულა შესაბამისი ხელშეკრულებები სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე, რაც შეუსაბამოა „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით

დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების მოთხოვნებთან.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ადმინისტრაციის უფლებამოსილების ფარგლებში კონსულტაციის გაწევისა და რეკომენდაციების მომზადებისთვის გუბერნატორის ყოფილ პირველ მოადგილესთან 2013 წლის 1 თებერვალს გაფორმებულია N1 ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა ტრანსპორტით, საკომუნიკაციო და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2013 წლის 1 თებერვლიდან 2014 წლის 1 იანვრამდე. გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გაწეული მომსახურების (კონსულტაციები) შესახებ ანგარიში. საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი სპეციალისტის (მატერიალურად პასუხისმგებელი პირი) მიერ გუბერნატორის სახელზე შედგენილი 2013 წლის 31 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის თანახმად, როგორც მისთვის გახდა ცნობილი 2013 წლის განმავლობაში ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით სარგებლობდნენ ყოფილი გუბერნატორებიც. უნდა აღინიშნოს, რომ მანქანების გადაცემაზე ადმინისტრაციის მხრიდან არცერთ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა. 2013 წლის დეკემბერში ჩატარებულ ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები იმყოფებოდა გუბერნატორის ადმინისტრაციაში.

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილის 2012 წლის 20 ივლისის N31 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ქ. თელავში მომხდარი სტიქიური მოვლენების დროს ადმინისტრაციული შენობის ნაწილში დიდი რაოდენობით წყლის ჩამოსვლის შედეგად დასველდა და დაზიანდა შენობაში არსებული სხვადასხვა სახის ტექნიკა და ინვენტარი. ზემოაღნიშნული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2012 წლის 23 ივლისის N 95 განკარგულებით, ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი დასახელების ქონების ჩამოწერის მიზნით შიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა შეესწავლა ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა და წარმოედგინა დასკვნა. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის დასკვნების საფუძველზე სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2012 წლის 21 აგვისტოს N 116 განკარგულებით, ადმინისტრაციის ბალანსიდან ჩამოწერილი იქნა შემდეგი დასახელების ქონება: 3 ერთეული მობილური ტელეფონი „ბლექბერი“ 9900 საბალანსო ღირებულებებით 1.3, 1.3 და 1.0 ათასი ლარი, პორტატული კომპიუტერი ტოშიბა საბალანსო ღირებულებით 1.7 ათასი ლარი და სხვა მცირეფასიანი(0.4 ათასი ლარი) ინვენტარი.

ვინაიდან ზემოაღნიშნული ტექნიკა არ იყო განპიროვნებული მატერიალურ პასუხისმგებელ პირებზე, აგრეთვე ვერ იქნა წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნები და ფოტო-ვიზუალური მასალები ფასეულობების დაზიანების შესახებ, ჩვენს მიერ ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნული ტექნიკის ჩამოწერის რეალური საფუძვლის არსებობის შესახებ.


საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 2 ივლისის N1-1/1630 ბრძანების და სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ 2009 წლის 28 ოქტომბრის N653 ბრძანებით გუბერნატორის ადმინისტრაციაზე გადაცემულია 5 ერთეული სპეცტექნიკა. იმავე წელს, თხოვნების ხელშეკრულებების საფუძველზე დროებითი სარგებლობისათვის ეკოლოგიური და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად აღნიშნული სპეცტექნიკიდან მუხლუხა ბულდოზერი „კამაცუ“ გადაცემულია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე, ხოლო დანარჩენი 4 ერთეული (ექსკავატორი, გრეიდერი, მიქსერი, სატვირთო თვითმცლელი ავტომობილი) გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე. გამგეობებთან ძირითადად გაფორმებული იყო 6 თვიანი და 1 წლიანი ხელშეკრულებები, რომლებიც შეთანხმების ოქმების საფუძველზე სააუდიტორო პერიოდის განმავლობაშიც გრძელდებოდა. შეთანხმების ოქმებში არ არის მითითებული გარემოებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ხელშეკრულებების 5 წლის ვადით გაგრძელების აუცილებლობა.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

გუბერნატორის ადმინისტრაციაში ხელშეკრულებების საფუძველზე მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში (სხვადასხვა თვეებში) 2012-2014 წლებში დასაქმებული იყო 5 შტატგარეშე მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია 2012 წელს 39,1 ათასი ლარი, 2013 წელს 21.9 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს 31.4 ათასი ლარი (მათ შორის პრემია 8.0 ათასი ლარი). „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით ირკვევა, რომ შტატგარეშე მომუშავე რეფერენტები 2012-2014 წლებში აყვანილი იყო 11-12 თვის განმავლობაში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ასრულებდნენ ერთი და იგივე სამუშაოს. ხელშეკრულებების მიხედვით მათ ფუნქციებში შედიოდა გუბერნატორის ადმინისტრაციაში დებულებით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულება, რაც შტატით მომუშავე თანამშრომლების მოვალეობაა. ერთ შემთხვევაში კი შტატგარეშე მოსამსახურე 2012 წლის 10 ივლისის შრომითი ხელშეკრულებით

ოთხი თვის განმავლობაში ასრულებდა გუბერნატორის მოადგილის თანამდებობით
გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

თენგიზ გურასაშვილი
უფროსი აუდიტორი

.....  08.12.2015წ

პაპუნა ხოფერია
უფროსი აუდიტორი

.....  08.12.2015წ